თანამშრომლობის მემორანდუმი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლება“ პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების შესახებ

ქ. ბათუმი

24 ოქტომბერი 2022 წ

ერთის მხრივ **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**", წარმოდგენილი მისი რექტორის, მერაბ ხალვაშის სახით (შემდგომში "უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ") და მეორე მხრივ **სს "ევექსის ჰოსპიტლები" - ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი** (შემდგომში "კლინიკა"), **წარმოდგენილი** მისი დირექტორის, თამარ ბახტაძის სახით, (ერთობლივად წოდებული "მხარეებად")

ვაცნობიერებთ რა ბსუ-ს და და კლინიკასთან თანამშრომლობის მნიშვნელობას **საექთნო განათლების** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გზით, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადების საქმეში, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. **მემორანდუმის საგანი**

1.1. კლინიკა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,**საექთნო განათლება**“ (შემდეგში - პროგრამა) პროფესიული სტუდენტების სწავლების ხელშეწყობასა და კლინიკის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, ადამიანური რესურსის უნივერსიტეტისათვის გამოყოფას. .

1.2. კლინიკა ასევე, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,**საექთნო განათლება**“ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკული და კლინიკური სწავლების ხელშეწყობას კერძოდ, წინამდებარე მემორანდუმის **N1 დანართით** განსაზღვრული მოდულების განხორციელებას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად.

2. **უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:**

2.1. მიაწოდოს კლინიკას ინფორმაცია პროგრამის, მისი კომპონენტების, სასწავლო გეგმის, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, თუ ცვლილებები შეეხება კლინიკის მიერ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულებას;

2.2. გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების ჩამორთმევის თაობაზე;

2.3. სასწავლო პროცესში ჩართვამდე, საკუთარი სახსრებით ჩაუტაროს ტრენინგი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ კლინიკის თანამშრომლებს, პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში, ასევე მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროგრამის იმ კომპონენტის შინაარსთან და სწავლების თავისებურებებთან დაკავშირებით, რაზეც აღნიშნული თანამშრომლები იქნებიან პასუხისმგებელნი;

2.4. პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებას კლინიკაში განსახორციელებული სწავლების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით;

2.5. მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკას საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

2.6. კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიცვას მის ხელთ არსებული, პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ პირადი ინფორმაცია.

2.7. კლინიკასთან კოორდინაციით პროფესიული სტუდენტების მიერ ამ მემორანდუმის N1 დანართით განსაზღვრული კომპონენტების სწავლების დროს პირადი დაცვის საშუალებების გამოყენება;

2.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე გონივრულ ვადებში მიაწოდოს ინფორმაცია კლინიკას;

2.9. უნივერსიტეტის რეგულაციებით დადგენილი წესით განიხილოს კლინიკის შუამდგომლობა პროფესიული სტუდენტის მიერ კლინიკის შინაგანაწესის, სხვა მოთხოვნების/რეგულაციების ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევებთან დაკავშირებით და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რის შესახებაც გონივრულ ვადებში აცნობოს კლინიკას;

2.10. გაუფრთხილდეს კლინიკის და მისი პერსონალის საქმიან რეპუტაციას;

2.11. შეასრულოს ამ მემორანდუმით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

3. კლინიკა უზრუნველყოფს:

3.1. წინამდებარე მემორანდუმის N1 დანართით განსაზღვრული მოდულების თეორიული, პრაქტიკული და კლინიკური სწავლების წარმართვას, პროფესიულ სტუდენტთა სწავლებსაა და შეფასებას, შესაბამისი მოდულებით დადგენილი პირობების დაცვით;

3.2. პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნებისათვის კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობას ამ მემორანდუმის **N2 დანართით** განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

3.3. პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის განხორციელების მიზნებისათვის ამ მემორანდუმის N3 დანართით გათვალისწინებული მატერიალური-ტექნიკური ბაზა;

3.4. პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური სწავლების კომპონენტის გარდა,სხვა კომპონენტის განხორციელების შემთხვევაშიგამოყოს პერსონალი, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით და უნივერსიტეტის რეგულაციებით პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

3.5. სასწავლო პროცესის წარმართვა სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურებისათვის აუცილებელი აღჭურვილობით, მასალებითა და ნედლეულით;

3.6. პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების, ასევე ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, უნივერსიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული თანამშრომლების 3.2. პუნქტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების, ავტორიზაციის ან მონიტორინგის პროცესში, უნივერსიტეტთან კოორდინაციით ითანამშრომლოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტებთან;

3.7. მიაწოდოს უნივერსიტეტს ინფორმაცია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების შეცვლის თაობაზე;

3.8. კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაიცვას მის ხელთ არსებული პირადი ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა შესახებ;

3.9. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის და მისი პერსონალის საქმიან რეპუტაციას;

3.10. არ დაუშვას პროფესიული სტუდენტები ამ მემორანდუმის N1 დანართით განსაზღვრული კომპონენტების სწავლებაზე, პირადი დაცვის საშუალებების გარეშე, თუ ამ საშუალებების გამოყენება შესაბამისი მოდულით ან/და რეგულაციებით სავალდებულოდაა განსაზღვრული.

3.11. უზრუნველყოს უნივერსიტეტის ინფორმირება სასწავლო და შეფასების პროცესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს მიაწოდოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით;

3.12. კლინიკის ბაზაზე პროფესიული სტუდენტის სწავლების პერიოდში, პროფესიული სტუდენტის მიმართ სამუშაო და დასვენების დროსთან დაკავშირებით დაიცვას საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები;

4. უნივერსიტეტი უფლებამოსილია:

4.1. პროფესიულ სტუდენტს შეუწყვიტოს ან შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უნივერსიტეტის რეგულაციებით განსაზღვრული წესით;

4.2. უზრუნველყოს კლინიკის ინფორმირება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების თაობაზე;

4.3. კლინიკის წინაშე დასვას სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა სახის საკითხები;

4.4. კლინიკასთან შეთანხმებით დაადგინოს არდადეგების პერიოდი პროფესიული სტუდენტებისათვის;

4.5. გამოიყენოს ამ მემორანდუმით და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

5. კლინიკა უფლებამოსილია:

5.1. კლინიკა უფლებამოისილია პროგრამის განხორციელების პროცესში უარი განაცხადოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლების მიზნით მიღებაზე, თუ პროგრამის პრაქტიკული და კლინიკური პრაქტიკის ნაწილის განმახორციელებელი პირებისა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა **აღემატება 1/7 შეფარდებას;**

5.2. განახორციელოს ინიცირება პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის, კლინიკის შინაგანაწესის და სხვა წესების მიმართ დაუმორჩილებლობის ან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის მიმართ პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე;

5.3. უნივერსიტეტის წინაშე დასვას სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა სახის საკითხები;

5.4. უარი განაცხადოს კონკრეტული პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესზე დაშვების თაობაზე, სათანადო არგუმენტაციით;

5.5. გამოიყენოს ამ მემორანდუმითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

6. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა

6.1. კლინიკა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, პროგრამის ფარგლებში მოემსახურება უნივერსიტეტის 28 პროფესიულ სტუდენტს;

6.2. უნივერსიტეტის საერთო კვოტის ფარგლებში, კლინიკაში კონკრეტულ მიღებაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. არც ერთ მხარეს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი დარღვევისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს-მაჟორული (დაუძლეველი ძალის) გარემოებების გამო. რის თაობაზეც ერთ-ერთმა მხარემ, რომელსაც წარმოექმნება ეს გარემოებები, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

7.2. ფორს-მაჟორულ გარემოებებად (დაუძლეველი ძალის) ამ მემორანდუმის მიზნებისათვის მიიჩნევა მემორანდუმის დადების შემდეგ წარმოშობილი მხარეებისთვის გადაულახავი, წინასწარ გაუთვალისწინებელი და მათი კონტროლისგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებები, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, სტიქიური უბედურებანი, ომი და საომარი ქმედებანი, სოციალური გარემოებანი, ეპიდემია, კარანტინი, ხელისუფლების მიერ მიღებული ამკრძალავი ნორმები და სხვა მსგავსი გარემობები.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, გრძელდება მემორანდუმით ნაკისკრი ვალდებულებების შესრულება, თუ მხარეთა შორის არ მიიღწევა სხვაგვარი შეთანხმება.

7.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს პროგრამის განხორციელების ვადით;

7.5. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, რის შესახებაც ინიციატორმა მხარემ მეორე მხარეს უნდა აცნობოს არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით ადრე;

7.6. წინამდებარე მემორანდუმიშეწყვეტილად ითვლება უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის გაუქმების მომენტიდან;

7.7. წინამდებარე მემორანდუმი შეწყვეტილად ითვლება კლინიკისათვის სამედიცინო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მომენტიდან.მხარეები ასევე აღიარებენ და თანხმდებიან, რომ მიმართავენ მაქსიმალურ ძალისხმევას ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ სფეროში ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობის მიღწევისათვის;

7.8. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით მხარეები ადასტურებენ, რომ მიღებული აქვთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის ნებართვა, ლიცენზია ამ მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების სრულად შესასრულებლად;

7.9. მხარეები ადასტურებენ, რომ მემორანდუმის ხელმოწერით არ ქმნიან ამხანაგობას, იურიდიულ პირს ან მის მსგავს წარმონაქმნს და არ ეწევიან ერთობლივ საქმიანობას;

7.10. მხარეები ვალდებულნი არიან არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად და მხარეთათვის ცნობილი გახდა ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე;

7.11. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმებით, ორივე მხარის ხელმოწერით;

7.12. მემორანდუმი რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობლობით. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა დავა ექვემდებარება სასამართლო განხილვას;

7.13. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია 2 ეგზემპლარად – თითო ეგზემპლარი თითოეული მხარისთვის.

8. მხარეთა ხელმოწერები:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი**
მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის 32/35 ს/კ 245428158	**მისამართი: ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა №125** ს/კ 404476205 **ტელ:** 032 2 600 600

ელ.ფოსტა: info@bsu.edu.ge

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, მერაბ ხალვაში	დირექტორი თამარ ბახტაძე
----------	----------
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“
პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების შესახებ

2022 წლის 24 ოქტომბრის მემორანდუმის

დანართი 1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო განათლება“ პროფესიული მოდულები, რომლებიც განხორციელდება კლინიკაში:

პროფესიული მოდულები - კლინიკური სწავლება		
№	მოდულის დასახელება	მოდულის მოცულობა კრედიტებში
1.	ავადმყოფის მოვლა	4
2.	შინმოვლა	2
3.	კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	11
4.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა	6
5.	კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	11
6.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა	6
7.	კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	10
8.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა	5
9.	კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	12
10.	შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა	4
	ჯამი	71

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“
პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების შესახებ

2022 წლის 24 ოქტომბრის მემორანდუმის

დანართი 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **საექთნო განათლება** კლინიკური სწავლება-სწავლის პროცესის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება	საექიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ბებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება რომელიმე ან რამდენიმე მიმართულებით 1. თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 2. ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3. გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 4. კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 5. სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 6. პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა; 7. შინმოვლის მომსახურება.

კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა

- კლინიკური სწავლება-სწავლის განმახორციელებელი პირის და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობაა - 1/7.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“
პრაქტიკული და კლინიკური სწავლების განხორციელების შესახებ
2022 წლის 24 ოქტომბრის მემორანდუმის

დანართი 3

მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომლითაც ისარგებლებენ პროფესიული სტუდენტები კლინიკის **„მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოპიტალი“-ს** ბაზაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელების ვადით

ა) კლინიკური სწავლებისთვის

N	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა ჯგუფზე	ზომის ერთეული
1	ლარინგოსკოპი	1	ცალი
2	შოკის მაგიდა	1	ცალი
3	სასწორი	1	ცალი
4	სასანაციო მოწყობილობა	1	ცალი
5	პეისმეიკერი(კარდიოლოგიური განყოფილება;რეანიმაცია)	1	ცალი
6	ხელოვნური სუნთქვის აპარატი (რეანიმაცია; შოკის დარბაზი; ინტენსიური)	1	ცალი
7	სანარკოზე აპარატი (ანესთეზია)	1	ცალი
8	საინფუზიო პამპები და ინფუზომატი	1	ცალი
9	პულსოქსიმეტრი	1	ცალი
10	კარდიოგრაფი	1	ცალი
11	პარენტერალური კვების პამბები (რეანიმაცია; ინტენსიური)	1	ცალი
12	პაციენტის მონიტორი	1	ცალი
13	კარდიოტოკოგრაფი (ქალთა კონსულტაცია; ემერჯენსი; სამეანო მიმღები; მეან-გინეკოლოგია)	1	ცალი
14	დეფიბრილატორი	1	ცალი
15	გლუკომეტრი	1	ცალი
16	ჟანგბადის ბალონი	1	ცალი
17	თორაკალური დრენაჟი/სადრენაჟო სისტემა	1	ცალი
18	ექსპრესლაბორატორიის აპარატურა	1	ცალი
19	კომპიუტერი	1	ცალი
20	პრინტერი	1	ცალი
21	სკანერი	1	ცალი

ბ) პრაქტიკული სწავლებისთვის

N	ინვენტარის დასახელება	რაოდენობა ჯგუფზე	ზომის ერთეული
1	ფონენდოსკოპი	1	ცალი
2	სასწორი	1	ცალი
3	სიმაღლის საზომი	1	ცალი
4	შპატელი	1	ცალი
5	თერმომეტრი	2	ცალი
6	სფიგმომანომეტრი	1	ცალი
7	შშმ პირის ეტლი	1	ცალი
8	ყავარჯენი	1	წყვილი
9	ფუნქციური საწოლი	1	ცალი
10	შშმ პირის ღამის ქოთანი	1	წყვილი
11	თასი (5ლიტრი)	3	ცალი
12	სუდნო	2	ცალი
13	შარდმიმღები ქალის	2	ცალი
14	შარდმიმღები მამაკაცის	2	ცალი
15	თეფში	2	ცალი
16	ჭიქა	2	ცალი
17	ჩანგალი	2	ცალი
18	კოვზი	2	ცალი
19	სავარჯიშო სპირომეტრი	1	ცალი
20	პინცეტი (ქირურგიული)	5	ცალი
21	პინცეტი (ანატომიური)	5	ცალი
22	მაკრატელი	5	ცალი
23	ნემსდამჭერი	5	ცალი
24	ზედა კიდურის მულაჟი (პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია)	1	ცალი
25	მაიოს მაგიდა	1	ცალი
26	საზომი ლენტი/სიგრძის საზომი	2	ცალი
27	მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა)	1	ცალი
28	თირკმლისებრი თასი	5	ცალი
29	ჭიქა 100 მლ	5	ცალი
30	გრადუირებული ჭიქა	5	ცალი
31	ნარჩენების კონტეინერი	1	ცალი
32	მანეკენი	1	ცალი